ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №34

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 2013 წლის " 01 " ივლისი ქ. თბილისში

შემსყიდველი სსიპ ქალაქ თბილისის N200 საჯარო სკოლა
დირექტორის მარინე უჯმაჯურიძის სახით შემდგომში „შემსყიდველი"
მისამართი: ქ. თბილისი, ქერჩის ქ. №22
ხაზინა: ანგ. № 200122900, კოდი 220101222

მიმწოდებელი შ.პ.ს „ თეგეტა მოტორსი "

გენერალური დირექტორის: _ გიორგი მშვილდაძის სახით. შემდგომში „მიმწოდებელი"

მისამართი, ტელეფონი: _ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი 12კმ #5
საიდენტიფიკაციო კოდი: __202177205

საბანკო რეკვიზიტები: სს „თიბისი ბანკი" ცენტრალ ფილიალი ბანკის კოდი TBCBGE22 ა/ა GE80TB0600000024467853

ერთი მხრივ - **შემსყიდველი,** და მეორე მხრივ - **მიმწოდებელი,** ადასტურებენ, რომ მათ შორის მიღწეულია შეთანხმება შემდეგ'ზე:

1 ხელშეკრულების საგანი.

50100000 –სატრანსპორტო საშუალებებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 მიწოდებული საქონლის და გაწეული მომსახურების ღირებულების ზღვრული თანხა განისაზღვრება, მხარეთა სიტყვიერი შეთანხმების საფუძველზე, კონკრეტული მოთხოვნიდან გამომდინარე, ყოველი შესრულებული და მიწოდებული საქონლის ღირებულების მიხედვით, რომელიც დაფიქსირებული იქნება შესაბამის დ.ღ.გ–ს ანგარიშ–ფაქტურაში

2.1.1. ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრება **150,00 (ასორმოცდაათი)** ლარის ოდენობით.

2.2. მიწოდებული საქონლის და გაწეული მომსახურების საერთო ღირებულება შეიცავს „მიმწოდებლის" ყველა ხარჯებს, მათ შორის საქონლის და მომსახურების ღირებულებას, აგრეთვე კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, სახდელს, მოსაკრებელს, ბაჟს, მათ შორის დღგ–ს.

ასევე, მსუბუქი და ნახევრად სატვირთო საბურავების რეალიზაციის დროს, საქონლის სარეალიზაციო ფასი მოიცავს მისი მონტაჟისა და ბალანსირების ღირებულებას.

მსუბუქი ავტომობილების ალუმინის დისკების სარეალიზაციო ფასი მოიცავს უფასო მონტაჟისა და ბალანსირების ღირებულებას.

ძრავის ზეთის და ზეთის ფილტრის სარეალიზაციო ფასი მოიცავს მისი შეცვლის ღირებულებას.

აკუმულატორების სარეალიზაციო ფასი მოიცავს მისი მონტაჟის ღირებულებას, გარდა არასტანდარტული შემთხვევებისა(აკუმულატორის მონტაჟი საბარგულში, სავარძლის ქვეშ), ასეთ შემთხვევაში მონტაჟის ღირებულება განისაზღვრება ინდივიდუალურად, მომსახურების სირთულიდან გამომდინარე.

3. ანგარიშსწორება

3.1 „შემსყიდველი" იღებს ვალდებულებას გადაუხადოს „მიმწოდებელს" მიწოდებული საქონლის და გაწეული მომსახურების ღირებულება, ყოველი გამოწერილი დ.ღ.გ.–ს ანგარიშფაქტურის საფუძველზე, ყოველი მიწოდებიდან/მომსახურებიდან 30(ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში.

4. მხარეტა უფლება–მოვალეობები

4.1. 'მიმწოდებელი" იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს „შემსყიდველისთვის" საქონლის მიწოდება/მომსახურება მიწოდების მომენტში არსებულ საცალო ფასებში.
4.2. „შემსყიდველი" იღებს ვალდებულებას გადაუხადოს „მიმწოდებელს" მიწოდებული საქონლის და გაწეული მომსახურების საფასური, „შემსყიდველის" მოთხოვნით შედგენილი, შესაბამისი მიღება–ჩაბარების აქტის და/ან ყოველი კონკრეტული გამოწერილი დ.ღ.გ.–ს ანგარიშფაქტურის საფუძველზე, ხელშეკრულების 3.1. პუნქტში მითითებულ ვადებში.

5. გარანტიები

5.1. „მიმწოდებელი" გასცემს გარანტიას საქონელზე/მომსახურებაზე, რომლის ვადებიც დაფიქსირებული იქნება „შემსყიდველის" მოთხოვნით შედგენილ მიღება–ჩაბარების აქტში.
5.2. თუ საგარნტიო პერიოდში აღმოჩნდება დეფექტი, „მიმწოდებელი" ვალდებულია „შემსყიდველისგან" შეტყობინების მიღებიდან 3 კალენდარულ დღეში განიხილოს (დააკმაყოფილოს ან განაცხადოს მოტივირებული უარი) „შემსყიდველის" შეტყობინება და გამოასწოროს დეფექტი.

6. საქონლის/მომსახურების მიღება–ჩაბარების წესი.

6.1. საქონლის/მომსახურების მიღება დასტურდება დ.ღ.გ.–ს ანგარიშ–ფაქტურით, ასევე „შემსყიდველის" მოთხოვნის საფუძველზე, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი მიღება–ჩაბარების აქტით. მიღება–ჩაბარების აქტი უნდა გაფორმდეს „შემსყიდველის" მოთხოვნის საფუძველზე, მიწოდების/მომსახურების ფაქტიურად განხოციელებისთანავე.

7. ხარისხი

7.1. საქონელი/მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებსა და სტანდარტებს.

8. უფლებების გადაცემა

8.1. "მიმწოდებელს" არა აქვს უფლება „შემსყიდველის" წერილობით თანხმობის გარეშე, მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება–მოვალეობანი.

9. ხელშეკრულების შეწყვეტა და მხარეტა პასუხისმგებლობა

9.1. ხელშეკრულების დამდები ერთ–ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

9.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისგან.

9.3. თითოეული მხარე ვალდებულია აუნაზღაუროს მეორე მხარეს ჭინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულების შედეგად გამოწვეული ზიანი.

10. ფორს-მაჟორი

10.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს–მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

10.2. ამ მუხლის მიზნებისთვის „ფორს–მაჟორი" ნიშნავს მხარეებისთვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მხარეების შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით,საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.3. ფორს–მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი გახდა ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს წერილობით მეორე მხარეს ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობრთ პასუხს 10 კალენდარული დღის ვადაში, იგი თავის შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს–მაჟორული გარემოებების ზეგავლენისგან.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი, არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით, შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში მხარეები ვერ შეძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

12. სხვა პირობები

12.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერისა და მოქმედებს 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

12.2. ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

12.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, რომელსაც გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

13. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველის მხრიდან	მიმწოდებლის მხრიდან
სსიპ თბილისის N200	შპს „თეგეტა მოტორსი"
საჯარო სკოლა	ქ. თბილისი აღმაშენებლის ხეივანი 12
ს/კ 209472710	კმ #5
ქ. თბილისი ქერჩის ქ#22	ს.ს „თიბისი ბანკი" ცენტრ. ფილიალი
სახელმწიფო ხაზინა ა/ა 200122900	ბანკის კოდი: TBCBGE22
კოდი 220101222	ა/ა # GE80TB0600000024467853
დირექტორი მ.უჯმაჯურიძე	გენერალური დირექტორი
	გიორგი მშვილდაძე